ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1505221

ნომერი: AR1249490

თარიღი : 09.09.2014

გაცემის თარიღი : 24.09.2014

გაცნობის თარიღი : 24.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ონიაშვილი , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდან ლიპარტელიანი პ/ნ 01007004429
- თბილისი ო.ონიაშვილის ქ. N 17

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი AR1249490 განაცხადის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2014 წლის 29 მაისის #1297739 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ონიაშვილის ქ. №14-ში, შპს „ენ ენგ არ ქონსტრაქშნ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.10.12.040.019) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და 2014 წლის 05 ივნისის №1311968 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.

აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით და წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან დოკუმენტაცია სამსახურის იერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ # AR1223162; # AR1224487; განაცხადის ნომრები.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემული იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ ისინი გაასაჩივროთ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში. ხოლო თუ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge